თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. თელავი 2019 წლის 18 სექტემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 101 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი საუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ თხოვების ფორმით, დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

3. ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. N8-ში არსებული შენობა -ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 219,6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.20.46.188) ა(ა) იპ ,, მოვუსმინოთ სამყაროს''-თვის უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, 2020 წლის 13 ნოემბრამდე ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს: 1. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 101 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ გასულ წელს შორენა დათუნაშვილს პირობების შესრულების ვადა გაუგრძელდა ერთი წლით, მაგრამ ფინანსური მიზეზით პირობა ვერ შეასრულა, აქვს ავტოსახელოსნოს მშენებლობის პროექტი, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება ვადის კიდევ ერთი წლით გაგრძელება.

გ.თავბერიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა და გამოთქვეს მოსაზრება საკითხის საკრებულოს ბიუროზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 101 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ თხოვების ფორმით, დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ იზოლდა ჭყოიძის ოჯახი ეკუთვნის სოციალურად დაუცველთა კატეგორიას, არიან პენსიონერები, არა აქვთ სხვა საცხოვრებელი, მათ შუამდგომლობს რწმუნებული და დააყენა წინადადება ქონების გადაცემის საკითხის საკრებულოს ბიუროზე განხილვის თაობაზე.

ა.შათირიშვილის მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრები.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ თხოვების ფორმით, დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 3. ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. N8-ში არსებული შენობა -ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 219,6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.20.46.188) ა(ა) იპ ,, მოვუსმინოთ სამყაროს''-თვის უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, 2020 წლის 13 ნოემბრამდე ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ პრეტენდენტს აქამდე აქვს პირნათლად შესრულებული წინა მოქმედი ხელშეკრულების პირობები, გაარემონტა და კეთილმოაწყო პირველ სართულზე არსებული 219,6 კვ.მ. ფართი, რომელსაც იყენებს თავისი პროექტის განხორციელებისთვის, ეხლა იღებს ვალდებულებას, რომ გაარემონტოს პირველი სართულის ზემოთ არსებული ფართი და სახურავი. ვინაიდან შედეგად მოხდება მუნიციპალური შენობის რეაბილიტაცია და ასევე ჰუმანური ხასიათის პროექტის ხელშეწყობა, მიზანშეწონილია მათზე ქონების გადაცემა.

გიორგი თავბერიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა და დააყენეს წინადადება პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: პროექტი ქ. თელავში, დავით რექტორის ქ. N8-ში არსებული შენობა - ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 219,6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 53.20.46.188) ა(ა) იპ ,,

მოვუსმინოთ სამყაროს''-თვის უსასყიდლო უზუფრფუქტის ფორმით, 2020 წლის 13 ნოემბრამდე ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი